 სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

113 რუსთაველის ქუჩა
0800 ახალციხე, საქართველო
+995 591 411 288
rector@sjuni.edu.ge

24/11/2025

MES 0 25 0001667305

აკადემიური საბჭოს დადგენილება
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების, ჩატარებისა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიერ წარმოსადგენი სამოქმედო გეგმის საჯაროდ განხილვის თარიღების, რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლის მე-2, მე-4, მე-5 პუნქტების, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-9 მუხლის, მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-7 პუნქტებისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად
აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები.
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ჩატარდეს 2026 წლის 30 იანვარს 14:00 საათზე.
3. რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატის/კანდიდატების მიერ წარდგენილი სამოქმედო გეგმის საჯაროდ განხილვა დაინიშნოს 2026 წლის 27 იანვარს 14 საათზე.
4. რექტორის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2025 წლის 25 დეკემბრიდან 2026 წლის 16 იანვრის ჩათვლით.
5. რექტორობის კანდიდატი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ, სასწავლო და სამეცნიერო სფეროში მუშაობის გამოცდილება.
6. რეგისტრაცია იწარმოებს როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული ფორმით. რეგისტრაციაში გატარების მიზნით კანდიდატებმა ამ დადგენილების მე-4 პუნქტით

განსაზღვრულ ვადაში, უნდა წარმოადგინონ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში ან ატვირთონ მისამართზე contact@sjuni.edu.ge:
ა) განცხადება - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სახელზე;
ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (უცხოენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი);
ე) შრომითი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ) სამოქმედო გეგმა;
ზ) ცნობები:

- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.
- უფლების ჩამორთმევის შესახებ.

7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. დადგენილება გაეგზავნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, საარჩევნო კომისიას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა